სკოლა უზრუნველყოფს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება.

სკოლა, სსსმ მოსწავლეებისათვის, ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაციას, სასწავლო გარემოს აკომოდაციას და საჭიროების შემთხვევაში ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავებას. გარდა აღნიშნულისა, სკოლა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო უკვე იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლეებისთვის - ორი კვირის ვადაში ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწლის. თითოეული მოსწავლისათვის შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ასახავს შესაბამისი კლასის დამთავრებისთვის მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს, მათ მისაღწევად განსაზღვრულ სწავლების სტრატეგიასა და დამატებით საშუალებებს/ღონისძიებებს. სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი და აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მათ შორის სკოლაში განთავსებულია რესურს ოთახი.